პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 134 (5684)

8 ივლისი, ხუთშაბათი. 1976 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# ავამაღლოთ ხელმძღვანელობის დონე

**ПРАВДА**

**6 ივლისის მოწინავე**

ქვეყნის პარტიული ორგანიზაციები, მშრომელები აღფრთოვანებით მუშაობენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. მეათე ხუთწლედის პირველი თვეები აღინიშნა საყოველთაო-სახალხო შრომის ახალი წარმატებებით.

„საბჭოთა საზოგადოების განვითარების დინამიზმი, კომუნისტური მშენებლობის მზარდი მასშტაბები, ჩვენი საქმიანობა საერთაშორისო ასპარეზზე, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ყრილობის ტრიბუნიდან, — დაბეჯითებით მოითხოვენ **ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, ადამიანის აღზრდის, პარტიული ხელმძღვანელობის დონის განუხრელ ამაღლებას, მასებში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას**".

პარტია ცდილობს სრულყოს ყველა თავისი რგოლის საქმიანობა ახალი ამოცანების გაქანებისა და სირთულის შესაბამისად. იგი ილვწის, რომ ყველა მისი ორგანიზაცია მუშაობდეს შეწყობილად, აქტიურად, მიზანდასახულად, რათა ყველგან განუხრელად იყენებდნენ პარტიული ცხოვრების ლენინურ ნორმებსა და ხელმძღვანელობის პრინციპებს. სწორედ ამისათვის ზრუნვით არის გამსჭვალული ამას წინათ გამოქვეყნებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ".

მიღებულ დოკუმენტს დიდი ზოგადპარტიული მნიშვნელობა აქვს. მასში არა მარტო გაანალიზებულია პოზიტიური ძვრები ერთ-ერთი რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში, ჩამოყალიბებულია მისი პირველი რიგის ამოცანები, არამედ დასახულია მთელი რიგი პრინციპული დებულებებიც, რომლებიც აკონკრეტებენ და ავითარებენ სკკპ XXV ყრილობის მითითებებს.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის გამოცდილება უწინარეს ყოვლისა მოწმობს, თუ რა ნაყოფიერია მკაცრი კრიტიკული მიდგომა თავისი საქმეებისადმი, რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სწორი დასკვნები გამოიტანა თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებებიდან და შეცდომებიდან. 1972 წლის დამდეგს მიღებული ეს დადგენილება ჭეშმარიტად საპროგრამო გახდა საქართველოს ყველა პარტიული კომიტეტისათვის. მათ თვითკრიტიკულად, ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების სულისკვეთებით გააანალიზეს რესპუბლიკის მდგომარეობა, შეიმუშავეს და ახორციელებენ ღონისძიებათა ფართო სისტემას, რომელთა მიზანია სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობა, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება, მათი პოლიტიკური შეგნებისა და შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი ზრდა. საქართველოს მშრომელებმა, რომლებიც ეყრდნობიან პარტიისა და სახელმწიფოს მხარდაჭერას და უფრო სრულად იყენებენ შინაგან რეზერვებს, ძირითადად დაძლიეს 1971-1972 წლებში დაშვებული სერიოზული ჩამორჩენა მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში და წარმატებით დაიწყეს მეათე ხუთწლედის ამოცანების გადაწყვეტა.

ახალ დადგენილებაში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე პოზიტიური ცვლილებები პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების არსებითი გაუმჯობესების, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზატორული შეკავშირების, მასებთან მისი კავშირის განმტკიცების შედეგია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ლენინური პრინციპების ზუსტად დაცვისათვის. პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო მუშაობის ბევრი უბანი განმტკიცდა პოლიტიკურად მომწიფებული, მორალურად მტკიცე და პარტიის საქმისადმი ერთგული ამხანაგებით. საკადრო საკითხების გადაწყვეტაში მკვიდრდება კოლეგიალობის პრინციპი. ეს შესაძლებლობას აძლევთ თავიდან აიცილონ ახლო წარსულში არსებული შეცდომები მუშაკთა შეფასების დროს. უმჯობესდება მიღებული გადაწყვეტილებების, პარტიის დირექტივების შესრულების ორგანიზაცია და შემოწმება.

მიზანდასახულად მუშაობს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია კომუნისტური აღზრდის დარგშიც. ამ ბოლო ხანს ბევრი რამ კეთდება თვითეულ შრომითს კოლექტივსა და მთლიანად რესპუბლიკაში ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური ატმოსფეროს შექმნისათვის. გაუმჯობესდა კომუნისტური ზნეობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, შრომისა და ხალხის დოვლათისადმი შეგნებული დამოკიდებულების, სოციალისტური დისციპლინისა და საერთო საქმისათვის პასუხისმგებლობის სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდა. შეურიგებელი ბრძოლა გაჩაღდა მეშჩანური, წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივების, აქა-იქ შემორჩენილი ნაციონალისტური გამოვლინებების, მომხვეჭელობის, მავნე ზნე-ჩვეულებების გადმონაშთების წინააღმდეგ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს უზრუნველყოს ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის დონის შემდგომი ამაღლება. ეჭვი არ არის, რომ ეს დოკუმენტი დიდ შთამაგონებელ და დამრაზმველ როლს შეასრულებს რესპუბლიკის კომუნისტებისათვის.

დადგენილების დასკვნები აქტუალურია პარტიის ყველა რგოლისათვის. საქმე იმას ეხება, რომ კვლავაც დაუცხრომლად ავამაღლოთ პარტიული რიგების ბრძოლისუნარიანობა, შეკავშირება და სიწმინდე, მივაღწიოთ, რომ თვითეულ კომუნისტს ჰქონდეს პოლიტიკური მებრძოლის თვისებები. საჭიროა აგრეთვე განვაგრძოთ ხელმძღვანელი კადრების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესება, ვასწავლოთ მათ მუშაობის ლენინური სტილი, ვასწავლოთ, რომ ყველა საკითხის გადაწყვეტას პარტიული, საერთო სახელმწიფო პოზიციებიდან უდგებოდნენ. უნდა ვებრძოლოთ ბიუროკრატიზმის, უპასუხისმგებლობის, უდისციპლინობის, მშრომელთა საჭიროებისადმი უსულგულო დამოკიდებულების ყოველგვარ გამოვლენას.

პარტია ამოცანად სახავს ყოველნაირად განვავითაროთ კრიტიკა და თვითკრიტიკა. როგორც მიღწევების, ისე ნაკლოვანებების მკაცრი თვითკრიტიკული ანალიზი უნდა დაედოს საფუძვლად თვითეული პარტიული კომიტეტის, თვითეული ხელმძღვანელი მუშაკის, ყველა კომუნისტის საქმიანობას, როცა ვსრულყოფთ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაობის სტილსა და მეთოდებს, ეს მუშაობა უნდა შევაფასოთ არა თათბირებისა და მიღებული დადგენილების რაოდენობით, არამედ რეალური შედეგებით.

აღმზრდელობითი მუშაობის დონის შემდგომი ამაღლების უზრუნველყოფისათვის პარტიულმა კომიტეტებმა მას საფუძვლად უნდა დაუდონ იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის კომპლექსური გეგმები. საჭიროა საზრიანად შევათანხმოთ ყველა იდეოლოგიური დაწესებულების, პროპაგანდისა და აგიტაციის მთელი ძალებისა და საშუალებების ღონისძიებანი და ამასთანავე მტკიცედ აღმოვფხვრათ ამ საქმეში ფორმალიზმის ელემენტები, ცხოვრებისაგან მოწყვეტა.

ახლა თვითეული პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა ხუთწლედის პირველი წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების თანმიმდევრული შესრულება. წარმატების საწინდარი ის არის, რომ განუხრელად ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობის დონე, როგორც ამას მოითხოვენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი.

## მიფრინავს „სოიუზ-21"

[illegible]



ბ. ვ. ვოლინოვი



ვ. მ. ჟოლობოვი

**დედამიწისირგვლივი კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად 1976 წლის 6 ივლისს, მოსკოვის დროით 15 საათსა და 09 წუთზე საბჭოთა კავშირში გაუშვეს პილოტირებული კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-21", რომლის ეკიპაჟში არიან ხომალდის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, პოლკოვნიკი ბორის ვალენტინის ძე ვოლინოვი და ბორტინჟინერი, პოდპოლკოვნიკი, ინჟინერი ვიტალი მიხეილის ძე ჟოლობოვი.**

**ხომალდ „სოიუზ-21"-ის ფრენის პროგრამით გათვალისწინებულია ერთობლივი ექსპერიმენტები, „სალუტ-5" ორბიტულ სამეცნიერო სადგურთან ერთად, რომელიც დედამიწისირგვლივ ორბიტაზე 1976 წლის 22 ივნისს გაიყვანეს.**

**ეკიპაჟის მოხსენებებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების თანახმად, ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. კოსმონავტები — ამხანაგები ვოლინოვი და ჟოლობოვი შეუდგნენ ფრენის პროგრამის შესრულებას.**

• • •

**7 ივლისს მოსკოვის დროით 12 საათისათვის კოსმოსურმა ხომალდმა „სოიუზ-21" 14-ჯერ შემოუფრინა დედამიწას.**

**გუშინ სალამოს განხორციელებული მოძრაობის ტრაექტორიის კორექციის შემდეგ ხომალდ „სოიუზ-21"-ის ორბიტის პარამეტრებია:**

**— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა)—280 კილომეტრი;**

**— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 254 კილომეტრი;**

**— გარშემოვლის პერიოდი — 89,6 წუთი;**

**— ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი.**

**ხომალდზე სამუშაო დღე დაიწყო დილის ცხრა საათზე. რადიოკავშირის მორიგი სეანსის დროს ხომალდის მეთაურმა ბ. ვ. ვოლინოვმა გადმოსცა, ეკიპაჟი დასახული პროგრამით მუშაობსო.**

**ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებისა და კოსმონავტთა მოხსენებების თანახმად, ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობენ. ამხანაგები ვოლინოვი და ჟოლობოვი თავს კარგად გრძნობენ. კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-21" ფრენას განაგრძობს.**

### ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

## სიამაყისა და სიხარულის გრძნობით

7 ივლისს რესპუბლიკის სპორტკომიტეტში გაიმართა ფიზკულტურულ მუშაკთა კრება, რომელიც მიეძღვნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში გამართულ ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციას.

საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა დ. პერტენავამ ილაპარაკა ბერლინში ახლახან დამთავრებული კონფერენციის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მნიშვნელობის შესახებ. მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი კონფერენციაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვის უდიდეს მნიშვნელობას.

მიტინგზე სიტყვით გამოსულებმა — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 რესპუბლიკური სკოლის დირექტორმა ნ. დუმბაძემ, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, ძალოსნობისა და ფარიკაობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის დირექტორმა ვ. სვეტილკომ, სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" თავმჯდომარემ სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. ასათიანმა, საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა გ. თავართქილაძემ, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, საქართველოს ალპიური კლუბის დირექტორმა დ. ობოლაძემ, სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის დირექტორმა ი. მეტრეველმა, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, თბილისის უნივერსიტეტის ფიზაღზრდის კათედრის გამგემ ე. გოკიელმა, საქართველოს სპორტკომიტეტის განყოფილების უფროსმა მ. ბარამიამ ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ დიდი სიამაყისა და სიხარულის გრძნობით გაეცნენ ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების ბერლინის კონფერენციაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ბრეჟნევის სიტყვას, რომელიც იმედიანი მომავლის საპროგრამო დოკუმენტად მიიჩნიეს არა მარტო კონფერენციის მონაწილეებმა, არამედ მთელი მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებმა.

ფიზკულტურელები, სპორტსმენები, ფიზკულტურული მუშაკები მხურვალედ იწონებენ ამხანაგ ლ. ბრეჟნევის სიტყვას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომელიც ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმეს, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმეს ემსახურება, პირობას დებენ, რომ თავიანთს წვლილს შეიტანენ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებაში.

# ახალ ხუთწლედში — ახალი მიჯნები

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად „სპარტაკის" ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანათა განხორციელებას მიეძღვნა ამ საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს მორიგი, VIII პლენუმი, რომელიც ახლახან თბილისში გაიმართა.

მოხსენებით გამოვიდა „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ბ. კორინთელი. მან თქვა, რომ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში წინსვლის დიადი პროგრამაა, რომელმაც ფიზკულტურისა და სპორტის აღმავლობის გზებიც დასახა. რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში არსებული ჩამორჩენის დასაძლევად ხელთ გვაქვს კონკრეტული განაწესი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1974 წლის 3 ივნისის დადგენილებით დაგვისახა.

„სპარტაკის" მრავალრიცხოვანმა არმიამ ამ დადგენილების განხორციელების გზაზე თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა. ამ ბრძოლაში მაორგანიზებელი როლი შეასრულა სოციალისტურმა შეჯიბრებამ. საერთო საქმისადმი ერთობლივმა ზრუნვამ ამაღლა კოლექტივების ქმედითუნარიანობა, გამოავლინა და აამოქმედა მრავალი რეზერვი. მარტივი ტიპის სპორტული მოედნებისა და ნაგებობების ქსელის გაფართოების პარალელურად დიდი ყურადღება ეთმობოდა და ეთმობა ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ხარისხს. ჩამორჩენილ კოლექტივებს შეფობას უწევენ საზოგადოების პრეზიდიუმის წევრები. ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტთა მუდმივმოქმედ სემინარებზე სისტემატურად მსჯელობენ ფიზკულტურულ კოლექტივებში მუშაობის სკკპ ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად გარდაქმნის პრობლემურ საკითხებზე.

გატარებული ღონისძიებების შედეგად საწარმოო ტანვარჯიშში ჩაბმულთა რიცხვმა მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 39 პროცენტს მიაღწია, ათასობით ახალი წევრი შემატა ჯანმრთელობის ჯგუფებს, სპორტული თევზაობისა და ტურიზმის სექციებს.

ითქვა, რომ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტმასობრივი მუშაობა ბევრ კოლექტივში უნარიანადაა შეხამებული შრომითი წარმატებებისთვის ბრძოლასთან. მომავლის გეგმები მჭიდრო კავშირშია კადრებთან მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფასთან.

— ამოცანა ისაა, — თქვა მომხსენებელმა, — რომ გავაღრმავოთ და განვაზოგადოთ ყველაფერი, რაც მუშაობაში წარმატების სტიმულს გვაძლევს. კვლავაც გულმოდგინე მუშაობა გვმართებს ფიზკულტურული კოლექტივების ორგანიზაციულად გასამტკიცებლად. ძალ-ღონე არ უნდა დავზოგოთ, რათა პირნათლად შევასრულოთ მიმდინარე ხუთწლედის მთავარი ამოცანა — მუშაობაში ხარისხისა და ეფექტიანობის მიღწევა.

ამ მიზნისთვის ბრძოლის გზაზე უკვე პრაქტიკული ნაბიჯები გადადგეს აჭარის, აფხაზეთის, თბილისის, ქუთაისისა და ზესტაფონის ორგანიზაციებმა. ფიზკულტურული კოლექტივებიდან სამაგალითონი არიან ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამოთვლითი ცენტრი, თბილისის წყალსადენის სამმართველო, თამბაქოს საწარმოო გაერთიანება, „სამტრესტის" საწარმოო კომბინატი, ქუთაისის ტროლეიბუსების სამმართველო, თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმი და მწვრთნელთა სკოლა.

მასობრიობისადმი მომთხოვნელობის გაძლიერებამ, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის კონტროლმა ბევრ ახალგაზრდას გაუხსნა გზა დიდ სპორტში.



მწვრთნელები მ. ოსიყმაშვილი (ჭიდაობა), ო. სუჯაშვილი (ველოსპორტი), ვ. ტროპინი (მშვილდოსნობა), ვ. ქოჩიაშვილი (ფარიკაობა), ა. ხამხამაძე (აკადემიური ნიჩბოსნობა), ე. და ო. ლომთაძეები (მძლეოსნობა) ძალღონის დაუზოგავად შრომობენ მაღალი კლასის სპორტსმენთა მოსამზადებლად.

ნორჩ სპორტსმენთა აღზრდა-დაოსტატებას უნარიანად ხელმძღვანელობს ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის კოლექტივი. სკოლა ამ ორიოდე წლის წინათ გახსნა საქართველოს პროფსაბჭომ, მაგრამ აქ უკვე მომზადდა 5 სპორტის ოსტატი, 19 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი და 162 მასობრივი თანრიგის სპორტსმენი.

მომხსენებელმა გულისწყრომა გამოთქვა იმ კოლექტივების მიმართ, რომლებმაც ჯერაც ვერ გარდაქმნეს მუშაობა, კვლავაც მიწერებისა და სიყალბის მანკიერი მეთოდით ცდილობენ შეალამაზონ ვითარება. ცხინვალის ავტოსაწარმოში, ქაღალდზე მოამზადეს 45 თანრიგოსანი, ავტოსარემონტო ქარხანაში კი 62 თანრიგოსნიდან ყალბი აღმოჩნდა 38. ცხინვალვაჭრობის ფიზკულტურის კოლექტივში, სადაც ინსტრუქტორად ზ. ნასუაშვილი მუშაობს, 41 თანრიგოსნის მომზადების შესახებ არავითარი საბუთი არა აქვთ. მოძველებული მეთოდებით მუშაობენ ტყიბულის, გეგეჭკორის, მესტიის, ყაზბეგის, ადიგენის და ახმეტის ფიზკულტურული კოლექტივები. ბევრ რაიონში ჩამორჩენის მიზეზი ისაა, რომ ხელფასით მომუშავე ინსტრუქტორები და მეთოდისტები არ ჰყავთ.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობდნენ საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარეები: ჯ. კვიციანი (ქუთაისი), ა. ჩაჩავა (აფხაზეთი), ს. ცხადაძე (ზესტაფონი), პ. ლურსმანაშვილი (ჭიათურა), ვ. ფაილოძე (წყალტუბო), კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის ფიზკულტურისა და სპორტის ბიუროს თავმჯდომარე კ. ანანიაშვილი, თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის ფიზაღზრდის ხელმძღვანელი ნ. გაგოშიძე, საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე ი. ბოჭორიძე, „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. პოდგორნოვი.

პლენუმმა მიიღო დადგენილება.

# აქტივმა ნაკლოვანებებზე იმსჯელა

პარტიის თელავის რაიკომის საakto დარბაზში ჩატარდა რაიონის ფიზკულტურული აქტივის კრება, რომელიც საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. კობაიძემ გახსნა.

კრებამ მოისმინა ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის ვ. სახიევის მოხსენება „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები და რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში".

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა — თელავის მე-3 საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელმა ბ. ღვკანოზიშვილმა, რაიონის მთავარმა ექიმმა ბ. მირიანაშვილმა, კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანმა ზ. საჩიშვილმა, „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარემ ვ. გაგნიძემ, წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ს. მეგუთნიშვილმა, პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტკლუბის თავმჯდომარემ ნ. კაციტაძემ, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. გულიაშვილმა და საქართველოს სპორტკომიტეტის წარმომადგენელმა გ. მძელურმა ილაპარაკეს რაიონის ფიზკულტურელთა წარმატებებზე, მაგრამ არც ის დაივიწყებიათ, რაც რაიონში ჯერ კიდევ ხელს უშლის მასობრივფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის სრულყოფას.

ითქვა, რომ ვანთის, ზუშეტის, ვარდისუბნის, კისისხევის, ფშავლის, კონდოლის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა დაბალ დონეზეა, რაიონულ საავადმყოფოსა და წინდების საქსოვ ფაბრიკაში კი მთლიანად უგულებელყოფილია. ჩამორჩებიან ფშავლის, იყალთოს, ყარაჯლის სასკოლო ფიზკულტურული ორგანიზაციები.

რაიონში დაბალ დონეზეა სპორტსმენთა სამედიცინო მომსახურება. საქმეს ძალიან აფერხებს სპორტული ბაზების, განსაკუთრებით სასროლეთების და საცურაო აუზის უქონლობა. კარგი თაოსნობა გამოიჩინეს № 6 მექანიზაციის სამმართველოს და საცდელი სადგურის კოლექტივებმა, რომლებმაც სპორტული მოედნების მშენებლობა წამოიწყეს. დაისვა საკითხი, რომ ხიდების № 9 სარემონტო-სამშენებლო სამმართველომ და № 2 საგზაო-საექსპლოატაციო უბანმა შეაკეთონ ტირი, ხოლო წინანდალში კლუბის ძველი შენობა სპორტდარბაზად გადააკეთეს. ეს საქმე საბჭოთა მეურნეობისა და ღვინის ქარხნის დირექციებს დაევალათ. გადაწყდა ალაზნის პროსპექტზე აიგოს სპორტდარბაზი და 50-მეტრიანი საცურაო აუზი, ძველ სტადიონზე — სპორტული მოედნები 2000 მაყურებლისთვის.

გ. მძელურმა სახიევს გადასცა საქართველოს სპორტკომიტეტის გარდამავალი დროშა და სიგელი შარშანდელი შედეგების მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში თელაველთა მიერ კარგი მაჩვენებლების მოპოვებისთვის.

აქტივის კრების მუშაობა შეაჯამა პარტიის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. კობაიძემ.

კრებამ მიიღო რეზოლუცია.

**გ. ელიოზიშვილი.**
(ჩვენი კორ.).

თელავი.

# გამოცდილება უნდა განაზოგადონ

— ზაფხული, ბუნების წიაღი საუცხოო საშუალებაა ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობის გამოსაცოცხლებლად, — გვითხრა 26 კომისრის სახელობის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. ფანცულაიამ და ამ სიტყვების დასადასტურებლად ტურისტული შეკრების პროგრამა გაგვაცნო.

ქვეითი ლაშქრობა 15 კმ-ზე, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება, ბირთვის კვრაში, ღერძზე მიზიდვაში, 100 მეტრზე სირბილში, ცურვაში, ჯვროსში 3 და 6 კმ-ზე — ასეთი იყო რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თაოსნობით ბაზალეთის ტბაზე გამართული ამ ღონისძიების ოფიციალური პროგრამა. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის, რომ შეკრებაზე ფიზკულტურულმა კოლექტივებმა სიახლეები და შრომისა და სპორტის ურთიერთშეხამების გამოცდილება გაუზიარეს ერთმანეთს. ჩატარდა ამხანაგური შეხვედრები ფრენბურთში, ფეხბურთში, ჭადრაკსა და შაშში. ფიზკულტურის გამოცდილმა ინსტრუქტორებმა ვ. გედევანიშვილმა (ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანი") და ლ. ლობჟანიძემ (კერამიკული კომბინატი) შესვენებისას ჩაატარეს საუბარი „ფიზკულტურა და სპორტი სსრ კავშირში".

— რომელი ორგანიზაციიდან ხართ?
— ვკითხეთ პირველსავე შემხვედრთ.
მესამე სააბეჯო ფაბრიკიდან ვართო, გაგვეცნო კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი თ. განუგრავა. ბანაკი მათ მეზობლად მოუწყვიათ წისქვილკომბინატის, კერამიკული კომბინატის, ცხიმკომბინატის, ანალიზური ხელსაწყოების საკონსტრუქტორო ბიუროს, ხორცკომბინატისა და შალის საქსოვი ფაბრიკის წარმომადგენლებს. ყველაზე დიდხანს ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანის" „ეზოსთან" შევჩერდით. მეფეხსაცმელეებმა ტურისტული სექციის კონკურს-დათვალიერებაში და ბანაკის მოწყობა-გაფორმებაშიც I ადგილი დაიკავესო, გვითხრა ბ. ფანცულაიამ. აქვე გაგვაცნეს ამ კოლექტივის სამაგალითო წარმომადგენელი, შრომის ოსტატი და სპორტის ოსტატობის კანდიდატი თინათინ პაპიაშვილი. იგი კალათბურთში საზოგადოებრივი მწვრთნელიც ყოფილა და ახლაც მაგალითს აძლევდა სხვებს.

შესანიშნავმა ამინდმა და განწყობილებამ ბევრს შეუწყო ხელი სპორტულ წარმატებაში, სენსაციური კი მესამე სააბეჯო ფაბრიკის შემფუთველის ბ. თოფურიას შედეგი იყო. მან ბირთვის კვრაში ყველა მეტოქე დაჯაბნა და II სპორტული თანრიგის ნორმატივით პირველობა მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ამ ღონისძიებას პასუხისმგებლობით მოეკიდნენ შრომითი კოლექტივების ადმინისტრაცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. კერამიკული კომბინატის ტურისტებს ამ საწარმოს მთავარი ტექნოლოგი ს. მჭედლიშვილი ხელმძღვანელობდა. თავიანთს წარგზავნილებს შეკრებაზე მიაკითხეს წისქვილკომბინატის დირექტორმა გ. კიკვაძემ, პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ბ. ჭელიძემ და პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარემ ე. ჭელიძემ, შალის საქსოვი ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ე. გაბაშვილმა. შეკრების მეორე დღეს ტურისტებს ენთუზიასტ ლ. დრიაშვილის ხელმძღვანელობით ამავე რაიონის ბაღდადის ქუჩის № 11 ეზოს მობინადრენიც შეუერთდნენ. ამ ფაქტმა ახალი იდეა გაუჩინა ღონისძიების ორგანიზატორებს. ამიერიდან შრომითი კოლექტივებთან ერთად ასეთ ღონისძიებებში ეზოებსაც ჩააბამენ.

კარგი იქნება, თუ 26 კომისრის რაიონის გამოცდილებას დედაქალაქის სხვა რაიონებიც განაზოგადებენ.

**თ. წეველი.**

• • •





სურათებზე: კერამიკული კომბინატის ტურისტები „წუთშესვენებაზე"; № 8 სააბეჯო ფაბრიკის ტურისტები კარვის გაშლისას.

ავტორის ფოტოები.

# საინტერესო მარშრუტები

სოხუმის კომკავშირის XV ყრილობის სახელობის ტურბაზა ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა ახალ სეზონს.

ტურბაზა, რომლის დირექტორია გ. მიშველიანი, თავისი არსებობის მანძილზე მოემსახურა მილიონზე მეტ სტუმარს, მათ შორის 20 ათას უცხოელ ტურისტს.

განსაკუთრებული მონდომებით იშრომა ტურბაზის კოლექტივმა მეცხრე ხუთწლედში და სახელმწიფოს მილიონ 278000 მანეთი მოგება მისცა.

სოხუმის ტურისტულმა ბაზამ 1975 წლის შედეგების მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის (ეს უკვე მეათედ!) ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს და დარგობრივი პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა.

ამ ბაზაში მთავარ ინსტრუქტორად ყოფილი მსახიობი ბ. პაჭკორია მუშაობს. იგი, გარდა სპორტული საქმიანობისა, ეხმარება ბაზის საესტრადო ორკესტრსაც, მღერის, ასრულებს სატირული ჟანრის ნომრებს და სხვა.

ბაზაში ხშირად ეწყობა სპორტული შეჯიბრებები როგორც საბჭოთა, ისე პოლონელ, უნგრელ და ჩეხოსლოვაკიელ ტურისტებს შორის, წლეულს ტურბაზა მოემსახურება 29610 დამსვენებელს.

მარშრუტები საინტერესოდაა შედგენილი: 307-ე სოხუმში იწყება და სოჭში მთავრდება, 337-ე კი რადიალურ მარშრუტად ითვლება — სოხუმში იწყება და მთავრდება. საინტერესოა მე-60 და 65-ე მარშრუტები: გზა იწყება სომხეთში, გაივლის თბილისზე და სოხუმში წყდება.

წლეულს კომკავშირის XV ყრილობის სახელობის ტურბაზას 43-ე მარშრუტი გადაეცა. ამ მარშრუტით უმთავრესად მთების მოყვარული ტურისტები მოგზაურობენ. ისინი იკრიბებიან ჩრდილოეთ კავკასიაში, დასვენების დღეებს თებერდის ნაკრძალში ატარებენ, შემდეგ მთასვლურ ბანაკ დომბაიში ისვენებენ, იქიდან კი ქლუხორის ზეკარით სოხუმში ჩამოდიან.

იმედია, რომ ტურბაზის კოლექტივი გარდამავალ დროშას წლეულსაც არავის დაუთმობს.

**ნ. მიქაშავიძე,**
ტურბაზის ინსტრუქტორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

სოხუმი.

# სკოლაში უყვართ კალათბურთი

კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტმა და ბავშვთა სპორტსკოლამ ჩაატარეს ტურნირი მინი-კალათბურთში. შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. გოგონათა შორის გამარჯვება წილად ხვდათ მე-17 საშუალო სკოლის წარმომადგენლებს. ამ სკოლის აღსაზრდელები უძლიერესნი იყვნენ ჭაბუკთა ტურნირშიც.

აქვე მოეწყო საშუალო სკოლების სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირველობა კალათბურთში. მე-17 სკოლის კალათბურთელმა გოგონებმა აქაც იმარჯვეს. ჭაბუკებში უძლიერესი იყო მე-2 სკოლის გუნდი.

**უ. ფილიევი.**

## რამდენიმე სტრიქონით

### ✦ გორი

ხიდისთავის საშუალო სკოლის სპორტულ ბაზებზე ჩატარდა რაიონის ფრენბურთელთა და კალათბურთელთა ზონალური პირველობა. ჭაბუკთა შორის გაიმარჯვა ატენის საშუალო სკოლის გუნდმა. გოგონებში ყველას აჯობეს მასპინძლებმა. მათივე გამარჯვებით დამთავრდა ფრენბურთელ გოგონათა და ჭაბუკთა ტურნირი.

**ი. თევდორაშვილი.**

### ✦ ბათუმი

გაიმართა ქალაქის პირველობა კალათბურთში. ქალთა შორის ჩემპიონი გახდა პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივი. ვაჟებში ყველას დინამოელებმა აჯობეს.

**ო. მურვანიძე.**

### ✦ დუშეთი

რაიონის კალათბურთელ ვაჟთა პირველობაში მონაწილეობა მიიღეს ფიზკულტურული კოლექტივების სპორტსმენებმა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მჭადიჯვრის მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობისა და დუშეთის 1-ლი საშუალო სკოლის გუნდები. საინტერესო ბრძოლა მოიგეს მოსწავლე კალათბურთელებმა (34:33).

**ზ. ხიანაიძე.**




# მთავარი მატჩი წინაა

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 6 ივლისი.

„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 1:1 (0:0).

„დინამო“: გოგია, ძოძუაშვილი, ჩელიძე, ხიზანიშვილი, მუჯირი (ებრალიძე), ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ჩელებაძე (კოპალეიშვილი), დარასელია.

„ტორპედო“: ელიზაროვი (ზარაპინი), კრუგლოვი, პრიგოდა, ბუტურლაკინი, ხუდიევი, პეტრენკო, სუჩილინი, მირონოვი, იურინი, სახაროვი (გრიშინი), დეგტიარიოვი.

მსაჯი ვ. ფარდმანი (ეისკი).

დუბლიორები — 1:0.

38-ე ჩემპიონატის დამთავრებამდე სათამაშო დარჩა თითო-ოროლა მატჩი, მდგომარეობა ცხრილის სათავეში კი გაურკვეველია ისევე, როგორც, ვთქვათ, ამ ერთი თვის წინ. სიმჭიდროვე ლიდერთა შორის ისეთია, რომ, სულ ცოტა, 5-6 გუნდს აქვს შესაძლებლობა იბრძოლოს არა მარტო საპრიზო ადგილებზე გასასვლელად, არამედ უშუალოდ ოქროს მედლებისთვისაც.

საინტერესო სიტუაციაა. მით უფრო, რომ ჩემპიონობის უეჭველ პრეტენდენტთა შორისაა ჩვენი გუნდიც — თბილისის „დინამო“, რომელსაც შეუძლია მიაღწიოს იმას, რისთვისაც დიდი ხანია არ მიუღწევია. ამიტომ მან ხელიდან არ უნდა გაუშვას წარმატების მოპოვების არც ერთი შანსი, არ დაკარგოს არც ერთი ქულა.

და აი, ასეთ უკიდურესად დაძაბულ ვითარებაში ქულა მაინც დაიკარგა, თანაც შინ, საკუთარ მინდორზე, მოსკოვის „ტორპედოსთან“, როცა, ყველა ვარაუდით, გუნდს 2 ქულა უნდა აეღო.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ მატჩი ტორპედოელებთან იოლი მოსაგები იქნებოდა და ორი ქულა 13 ივლისის უძნელესი, გადამწყვეტი თამაშის წინ მოსკოვის „დინამოსთან“ გარანტირებული გვქონდა. „ტორპედო“ „ტორპედოა“ და მისი ახლანდელი ერთობ არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობა სულაც არ ნიშნავს ამ გუნდის სისუსტეს. პირიქით, საჭირო იყო ძალების მაქსიმალური მობილიზება, მთელი მონდომებით ბრძოლა გამარჯვების მოსაპოვებლად, ეს მობილიზება და მონდომება კი, პირდაპირ უნდა ითქვას, ვერ ვნახეთ.

თბილისელებს ამ მატჩში აკლდათ ორი საუკეთესო მოთამაშე — ყიფიანი და ხინჩაგაშვილი. ეს დიდი ძალაა. ამას გარდა, 22 ივნისის შემდეგ მათ კალენდარული შეხვედრა აღარ ჰქონიათ და 10-დღიანი იძულებითი შესვენება უარყოფითად დაეტყო გუნდს.

ეს ობიექტური მიზეზებია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ მინდორზე მყოფნი არ იყვნენ შეკრული ერთ შეთანხმებულ კოლექტივად და, საერთოდ, წლეულს თბილისის „დინამოს“ თავის მინდორზე არ უთამაშია ასე სუსტად, ქაოსურად. თავი იჩინა ზოგიერთმა ძველმა რეციდივმა, ზედმეტმა ინდივიდუალიზმმა, მოკლე და უსარგებლო გადაცემებმა, დაბალმა ტემპმა, ტაქტიკურმა შეცდომებმა. მიმდინარე სეზონში მაყურებელმა პირველად დატოვა უკმაყოფილომ სტადიონი, რისი საფუძველიც მას, უდავოდ, ჰქონდა.

მატჩის დასაწყისი, პირველი 15 წუთი, დინამოელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა, „ტორპედოს“ კარი ძლიერი შტურმის ობიექტად იქცა, მაგრამ საკმარისი იყო მოიერიშე მხარეს მოეკლო ტემპისთვის, დაეხია მინდვრის შუაგულში, რომ მოსკოველებმა მაშინვე შექმნეს კონტრთამაში და ბოლომდე აღარ დაუთმიათ უპირატესობა მეტოქისთვის.

დინამოელთათვის დიდ სტიმულად უნდა ქცეულიყო გოლი, რომელიც გუცაევმა გაიტანა 49-ე წუთზე, მაგრამ ასე არ მოხდა. მეტიც: 75-ე წუთზე დეგტიარიოვმა ახლო მანძილიდან კარგად გამოიყენა კრუგლოვის გადაცემა და გაქვითა გოლი — 1:1.

დაიკარგა უძვირფასესი ქულა, თუმცა ჩემპიონატის წარმატებით დამთავრების შესაძლებლობა თბილისელებს კვლავინდებურად აქვთ. საამისოდ გუნდის წინაშე დგას გადაუდებელი, საპასუხისმგებლო ამოცანა — მან სერიოზული ანალიზი უნდა გაუკეთოს განვლილი მატჩის შეცდომებს და სრულ მზადყოფნაში შეხვდეს მომდევნო მატჩს მოსკოვის „დინამოსთან“.

ბ. ძორძია.

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: თბილისელთა მეკარე დ. გოგია მოსკოვის „ტორპედოსთან“ მატჩის დროს.

ი. იუნაევის ფოტო.

## ჩემპიონატის ქრონიკა

6 ივლისს შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

„ზენიტი“ — „კარპატი“ 1:1. ამ მატჩში დაწინაურდნენ ლენინგრადელები (ბელოვი), ანგარიში კი გაათანაბრა დანილიუკმა.

„ზარია“ — „დინამო“ (მინსკი) 3:1. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს იგნატენკომ და ანდრეევმა (2), ხოლო ერთი გოლი გაქვითა ვასილევსკიმ.

„დინამო“ (კიევი) — „კრილია სოვეტოვი“ 1:2. პირველ წარმატებას მიაღწიეს დინამოელებმა (ხაპსალისი). საპასუხო ბურთი გაიტანა სმირნოვმა, ხოლო გადამწყვეტი — არიაპოვმა. გაფრთხილებულია კიეველი დამინი.

„დინამო“ (მოსკოვი) — „არარატი“ 1:0. მიმდინარე ჩემპიონატის ეს დიდმნიშვნელოვანი მატჩი მიმდინარეობდა უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში. მისი ბედი გადაწყდა მხოლოდ 87-ე წუთზე, როცა დინამოელმა შეპელმა ზუსტი თავური დარტყმით გაიტანა ბურთი სტუმრების კარში.

## ფინალში გავიდნენ

კიშინიოვში შედგა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების საკავშირო პირველობის ნახევარფინალური მატჩი. საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტისა და სარატოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდებს შორის. საქართველოს ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 5:0 და გავიდნენ გათამაშების ფინალში, სადაც მათთან ერთად ითამაშებენ სოხუმის, ლვოვის, კიშინიოვის, მელიტოპოლისა და ცელინოგრადის გუნდები.

## მოგება, ფრე...

დაიწყო საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებული ტურნირის ნახევარფინალური თამაშები „სიჭაბუკის თასზე“, რომელშიც მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადისა და „შრომითი რეზერვების“ გუნდები (1960-61 წლებში დაბადებულნი).

საქართველოს ნაკრები გამოდის არტემოვსკში. ჩვენმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 1:0 მოუგეს აზერბაიჯანელ თანატოლებს, ხოლო თურქმენებთან ითამაშეს ფრედ — 1:1.

## პირველი მატჩები

რუსთავში მიმდინარეობს ნორჩ ფეხბურთელთა რესპუბლიკური ფინალური გათამაშება „ტყავის ბურთის“ პრიზზე, რომელსაც საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ატარებს.

ოჩამჩირის „მზიურმა“ დაამარცხა ქობულეთის „თოლია“ — 4:2, ბაშის „ქოლობანმა“ — ასპინძის „ვარძია“ 1:0, თბილისის „ივერიამ“ — თიანეთის „საბადური“ 7:1, ხოლო გორის „იმედმა“ — რუსთავის „არიში“ 1:0.

## საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

● „მადნეული“ (ბოლნისი) — „ივერია“ (ხაშური) 2:0. მსაჯი რ. ფანჯარაშვილი (თბილისი).

ბოლნისელებმა ტაიმის ბოლომდე დაამთავრეს თავიანთი გამარჯვების საქმე. ბურთები გაიტანეს ერემიანმა და ფოფხაძემ.

● პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 2:0. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (ქუთაისი).

სტუდენტებს სრული უპირატესობა ჰქონდათ მატჩის მსვლელობაში, რაც კვარაცხელიას და წიკლაურის მიერ გატანილი ორი გოლით დამთავრდა.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 2:0 მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).

ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა ძლიერად ითამაშა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა (თუნქია, მუმლაძე).

● „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) — „ცისარტყელა“ (წულუკიძე) 1:0. მსაჯი ლ. ლონლაძე (თბილისი).

სტუმრების მეკარე ჩხეტიას ბევრი ძნელი ბურთის აღება მოუხდა, მაგრამ მაინც იძულებული გახდა მე-80 წუთზე გამოეტანა ბურთი ბადიდან კვარაცხელიას დარტყმის შემდეგ.

● „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 2:3. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

● „მერცხალი“ (მახარაძე) — „შუქურა“ (ქობულეთი) 3:1. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

● „კოლხეთი“ (ხობი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 2:0. მსაჯი ს. ალიხანოვი (თბილისი).

სტუმრების კარში ბურთები გაიტანეს ფარცვანიამ და ნ. გვასალიამ.

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:1. მსაჯი უ. ძნელაძე (თბილისი).

ამ მატჩში დაწინაურდნენ ოჩამჩირელები (თუნია), მაგრამ ქათამაძემ გაქვითა გოლი, ხოლო ცინცაძემ წინ გაიყვანა „მეტალურგი“.

● ასკ (თბილისი) — „ვარძია“ (ასპინძა) 2:2. მსაჯი ტ. ტურაშვილი (გორი).

ყველა გოლი მეორე ტაიმში გავიდა. არმიელთაგან ბურთები გაიტანეს ხუცურაულმა და ლევიძემ, ხოლო ასპინძელთაგან — ცინაძემ და ბერიძემ.

### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 6 ივლისისთვის

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ნადიკვარი“ | 17 | 12 | 3 | 2 | 27—5 | 27 |
| ფიზკ. ინსტ. | 18 | 12 | 1 | 3 | 36—18 | 25 |
| უნივერსიტ. | 16 | 6 | 5 | 5 | 17—13 | 17 |
| „განთიადი“ | 16 | 5 | 7 | 4 | 15—13 | 17 |
| „ივერია“ | 15 | 6 | 4 | 5 | 16—15 | 16 |
| „დურუჯი“ | 16 | 3 | 8 | 5 | 19—21 | 14 |
| „ვარძია“ | 16 | 5 | 4 | 7 | 16—23 | 14 |
| პოლიტ. ინსტ. | 16 | 5 | 3 | 8 | 19—30 | 13 |
| ასკ თბ. | 15 | 3 | 6 | 6 | 14—19 | 12 |
| „ქართლი“ | 16 | 4 | 3 | 9 | 11—24 | 11 |
| „მადნეული“ | 17 | 4 | 2 | 11 | 19—28 | 10 |

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეშახტე“ | 18 | 12 | 2 | 4 | 28—13 | 26 |
| „მერცხალი“ | 18 | 11 | 3 | 4 | 24—15 | 25 |
| „სალხინო“ | 18 | 7 | 8 | 3 | 25—16 | 22 |
| „დინამო“ | 19 | 9 | 3 | 7 | 32—25 | 21 |
| „ეგრისი“ | 18 | 6 | 5 | 7 | 23—18 | 21 |
| „კოლხეთი“ ხ. | 18 | 6 | 5 | 7 | 20—19 | 17 |
| „კოლხეთი“ ფ. | 18 | 5 | 6 | 7 | 19—16 | 16 |
| „მეტალურგი“ | 18 | 6 | 4 | 8 | 17—25 | 16 |
| „ცისარტყელა“ | 18 | 6 | 2 | 10 | 12—21 | 14 |
| „კოლმეურნე“ | 18 | 4 | 6 | 8 | 19—31 | 14 |
| „ამირანი“ | 18 | 5 | 3 | 10 | 22—32 | 13 |
| „შუქურა“ | 19 | 5 | 3 | 11 | 17—27 | 13 |

### II ჯგუფი

I ზონა

„მეშაქრე“ (აგარა) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 1:0, „განახლება“ (ადიგენი) — „ქიმიკოსი“ (ახმეტა) 2:0, „ფოლადი“ (რუსთავი) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 4:0, „პოლიტექნიკოსი“ (საგარეჯო) — „ყინცვისი“ (ქარელი) 3:0, „არაგვი“ (მცხეთა) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:3, „არაგვი“ (დუშეთი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 5:4, „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი) — „სამცხე“ (აწყური) 1:2.

II ზონა

„ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) — „ტორპედო“ (გაგრა) 2:1, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „ავტომობილისტი“ (ბათუმი) 4:0, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 2:0, „გიგანტი“ (ლაითური) — „ნაკადული“ (ჩხოროწყუ) 3:3, „მექალალდე“ (ზუგდიდი) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 6:1, „სულორი“ (ვანი) — „სპარტაკი“ (ქუთაისი) 5:0, „მშენებელი“ (ბათუმი) — „მზიური“ (გალი) 1:1, „სამგურალი“ (წყალტუბო) — ხდქ (სამტრედია) 2:0.

განვლილი ტურის შეხვედრებში კვლავ იყო დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. მინდვრიდან გააძევეს ტყიბულელი ო. ხილაგაძე, აწყურელი ა. როგავა და ქარელელი ნ. ფილიშვილი.

გაფრთხილებები მიეცათ შემდეგ ფეხბურთელებს: თ. ბიძიშვილს („სამცხე“, აწყური), მ. აკოფიანს („ყინცვისი“, ქარელი), თ. რუხაძეს და თ. ადეიშვილს (უნივერსიტეტი), ლ. მელიქიას (ფიზკულტურის ინსტიტუტი), მ. ბახტაძეს (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), რ. ხოფერიას (ასკ, თბილისი), ა. კუნჭულიას („მშენებელი“, ბათუმი), ჯ. ცინცაძეს („მეტალურგი“, ზესტაფონი), გ. ქანთარიას („ამირანი“, ოჩამჩირე).

რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

# საბჭოთა გუნდების მეტოქეები

6 ივლისს უეფა-ს საშტაბო ბინაზე ციურიხში მოეწყო ევროპის სამივე საკლუბო ტურნირის წილისყრა.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში კიევის დინამოელები შეხვდებიან იუგოსლავიის ჩემპიონს. მათი მეტოქე იქნება ან სპლიტის „ჰაიდუკი“ ან ბელგრადის „პარტიზანი“, რომლებიც ახლა ლიდერობენ იუგოსლავიის ჩემპიონატში.

თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში სსრ კავშირის თასის მომავალი მფლობელი შეხვდება უელსის „კარდიფ სიტისა“ და შვეიცარიის „სერვეტს“ შორის წინასწარ მატჩში გამარჯვებულს. საბჭოთა ფეხბურთელებს პირველი შეხვედრა ექნებათ სტუმრად.

უეფა-ს თასის გათამაშების მატჩში სსრ კავშირის ჩემპიონატის შარშანდელი ვერცხლის პრიზიორი — დონეცკის „შახტიორი“ თავის მინდორზე შეხვდება ბერლინის „დინამოს“, ხოლო მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებული პირველ შეხვედრას ათენში ჩაატარებს ადგილობრივ აეკთან.

ყველა ტურნირის I ტურის მატჩები ჩატარდება 15 და 29 სექტემბერს.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### პელე ბრაზილიის ნაკრების შესახებ

ჟურნალმა „დიარიო დე ბრაზილიამ“ გამოაქვეყნა პელეს სტატია, სადაც იგი ლაპარაკობს ბრაზილიის ეროვნული ნაკრების პერსპექტივებზე. პელე აღნიშნავს, რომ ნაკრებმა თავისი ძალა დაამტკიცა „ატლანტიკის თასზე“ გამარჯვებით. „გუნდს დიდი პერსპექტივები აქვს, ტონს იქ ახალგაზრდა ფეხბურთელები იძლევიან, თუმცა დავიწყებული არც ძველი „ვარსკვლავები“ არიან — რიველინო „ფლუმინენზედან“ და ლულა — პორტო-ალეგრეს „ინტერნასიონალიდან“. შემდეგში, ჩემი აზრით, გუნდს უნდა შეუერთდეს პაულო ცეზარიც, რომელიც ახლა რიველინოსთან ერთად „ფლუმინენზეს“ შემადგენლობაში გამოდის“.

### ახლა რაღას დაწვავენ?

იტალიის კლუბ „კატანიის“ ხელმძღვანელობამ შეიძინა სკამები, რომლებსაც ცეცხლი არ ეკიდება. რისთვის დასჭირდათ კლუბს ასეთი სკამები?

საქმე ისაა, რომ „პადოვასთან“ მატჩში გულშემატკივრებმა ძალიან ცუდად მიიღეს არა მარტო „კატანიის“ ის ფეხბურთელები, რომლებიც მინდორზე იყვნენ, არამედ სტადიონზე სპეციალურ ადგილას მსხდარი სათადარიგო მოთამაშეებიც. ვიღაცამ ამ სკამებს ცეცხლი წაუკიდა და ფეხბურთელები დიდად შეაშინა. ამიტომ „კატანიის“ ხელმძღვანელობამ თერმოგამძლე ასბესტური სკამები შეიძინა და ახლა თავს მშვიდად გრძნობს.

### ყალბი განგაში

ბელგიის კლუბი „ბრაკენი“ თავის ძირითად მეტოქე „კონინგენთან“ სათამაშოდ ემზადებოდა. ამ დროს განგაშის სიგნალი გაისმა, „ბრაკენის“ მოთამაშეები, ისინი კი ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმის წევრები არიან, დაუყოვნებლივ ჩასხდნენ მანქანებში და ხანძრის ადგილისკენ გაემართნენ. მათ ნაცვლად მინდორზე დუბლიორები გამოვიდნენ, რომლებმაც სასტიკად წააგეს „კონინგენთან“ — 0:5. ამასობაში მეხანძრე ფეხბურთელები მოვიდნენ ქალაქის განაპირას, საიდანაც ისინი გამოიძახეს და დარწმუნდნენ, რომ განგაში ყალბი ყოფილა. ლაპარაკია, რომ ყოველივე ეს „კონინგენის“ ხელმძღვანელებმა მოაწყვეს.

## მორიგი ტირაჟი

მოსკოვი, 7 ივლისი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი 27-ე ტირაჟი.

აი იღბლიანი ციფრები.

„სპორტლოტო“ — 20, 27, 28, 41, 45, 49.

„სპორტლოტო-2“ — 16, 19, 23, 37, 45, 47.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

# პირველი სტარტები

6 ათასზე მეტი მოსწავლე სპორტსმენი ეწვია უკრაინის ქალაქ ლვოვს XIV საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებად. აქ თავი მოიყარეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლებმა. ისინი იასპარეზებენ სპორტის 20 სახეობაში. გამოვლინდნენ პირველი გამარჯვებულები. თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვაში გოგონებიდან პირველობა მოიპოვა ლ. ჩერტკოვამ (უზბეკეთი) — 1.01,6. ამავე სახეობაში ამავე დისტანციაზე ვაჟებიდან პირველი იყო ბელორუსიის წარმომადგენელი ს. ლაბზო — 54,3. გოგონებიდან თავისუფალი სტილით 400 მეტრზე ცურვაში იმარჯვა უკრაინელმა ი. სელეზნიოვამ — 4.33,4. ვაჟებში ლენინგრადელმა ს. რუსინმა არავის დაუთმო პირველი ადგილი — 4.06,1. 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში გოგონათა შეჯიბრებაში გაიმარჯვა ლენინგრადელმა მ. მირონოვამ — 1.08,5. ბიჭებში პირველი იყო ასევე ლენინგრადელი ს. კოლობოვი — 1.02,3. გოგონებში 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში გაიმარჯვა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა ს. ოვსიანიკოვამ — 2.43,3. ბიჭებში საუკეთესო შედეგი აჩვენა მოსკოველმა ა. ფედოროვსკიმ — 2.29,6. გოგონებში 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში იმარჯვა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა ლ. ბაკშამ —2.24,3. ამავე დისტანციაზე ბიჭებში პირველი ადგილი მოიპოვა ლენინგრადელმა ა. გრიბანოვმა — 2.07,7. 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში გოგონებიდან ისევ მ. მირონოვამ იმარჯვა. მისი შედეგია 2.27,8. ბიჭებიდან საუკეთესო შედეგი ჰქონდა რუსეთის ფედერაციის გუნდის წევრს ვ. ვილკევიჩს — 2.12,1. გოგონებიდან 400 მეტრზე კომპლექსური ცურვა მოიგო ლენინგრადელმა მ. მალიუტინამ — 5.11,2, ბიჭებში —ნ. პლოტნიკოვმა (რსფსრ) — 4.39,0. 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გოგონათა შორის საუკეთესო იყო ბელორუსიის კოლექტივი — 4.09,9. ბიჭებში რსფსრ-ს გუნდი დაწინაურდა — 3.38,7. საში დღის შემდეგ ცურვაში გუნდურ ჩათვლაში I ადგილზეა რუსეთის ფედერაციის კოლექტივი — 680 ქულა.

ლვოვში წარმატებით ასპარეზობენ ჩვენი რესპუბლიკის წყალბურთელები და მოჭადრაკეები. საქართველოს წყალბურთელებმა შეჯიბრების პირველ დღეს დაამარცხეს ყირგიზეთის გუნდი — 8:2. მოჭადრაკეებმა ჯერ ყირგიზეთის გუნდს სძლიეს (8:2), ხოლო მეორე დღეს აზერბაიჯანელებს მოუგეს ანგარიშით 8:1. ერთი პარტია გადადებულია.

სამაგიეროდ, წარუმატებლად დაიწყეს ასპარეზობა ჩვენმა ფეხბურთელებმა. მათ ჯერ ლატვიის გუნდთან იწვნიეს მარცხის სიმწარე (1:3), ხოლო მეორე ტურში დამარცხდნენ რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებთან — 0:2. ლატვიისა და ლენინგრადის გუნდების მატჩის შედეგია — 0:0.

## მასპინძელთა წარმატება

ამას წინათ თბილისში საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის" სპორტულ დარბაზში ჩატარდა კალათბურთელთა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ქუთაისის, ფოთის, ზუგდიდის, თბილისისა და სხვა ქალაქების ორგანიზაციების ვაჟთა და ქალთა გუნდები. შეჯიბრებამ მუშა-მოსამსახურეთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. როგორც ვაჟებში ისე ქალებში გამარჯვება მოიპოვეს „ელექტროაპარატის" ნაკრებმა გუნდებმა, რომლებიც მთლიანად ახალგაზრდა სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული.

მ. სხირტლაძე.

## მესტიაში თხილამურები არ შეაქვთ

### ფედერაციის პლენუმზე

თბილისში გაიმართა რესპუბლიკის სამთო-სათხილამურო სპორტის ფედერაციის მორიგი პლენუმი, რომელმაც იმსჯელა გასულ ზამთრის სეზონში გაწეული საქმიანობის შესახებ. მოხსენებით გამოვიდა ფედერაციის თავმჯდომარე თ. ფხაკაძე, მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის საქმიანობაზე შეკრებილთ ესაუბრა პრეზიდიუმის თავმჯდომარე თ. გელაშვილი. ოლიმპიურ სეზონში ბაკურიანის სპორტკომბინატის ღონისძიებებზე ილაპარაკა კომბინატის დირექტორმა ი. ოგანეზოვმა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ა. აგეევამ (ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი), ნ. დუმბაძემ (უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 რესპუბლიკური სკოლა), ფ. ნავერიანმა (ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე), ფედერაციის წევრებმა გ. მიქელაძემ, ა. ბალაევიჩმა, კ. ლომინაძემ, აგრეთვე, ბორჯომის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ჯ. გოქაძემ, თბილისის სპორტკომიტეტის წარმომადგენელმა ვ. მურადოვმა და მესტიელმა მწვრთნელმა გ. ჯაფარიძემ.

აღინიშნა, რომ განვლილ სეზონში საქართველოს უფროს სამთომოთხილამურეთა ნაკრებმა თავი ვერაფრით გამოიჩინა. ამის მიზეზია გუნდის წვრთნის დაბალი დონე და საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება, სამაგიეროდ, კარგი შედეგები მოიპოვეს მოზარდებმა. ორმა სპორტსმენმა ქვეყნის ჩემპიონობა დაიმსახურა. ითქვა, რომ მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმმა მუშაობა საგრძნობლად გააუმჯობესა, მაგრამ მის საქმიანობაში ნაკლი ჯერ კიდევ არის. მსაჯთა რიგების ზრდისა და განმტკიცებისთვის აუცილებელია მათი კვალიფიკაციის შემოწმება, შემადგენლობის გადახალისება, სემინარების გამართვა, სამუშაოდ ახალი ძალების მიზიდვა.

ლაპარაკი იყო სპორტული ბაზებისა და ინვენტარის სიმცირეზე. აღინიშნა, რომ მესტიაში სათხილამურო ინვენტარი სავაჭრო ორგანიზაციებს საერთოდ არ შეაქვთ, მაშინ, როცა ზღვისპირა ქალაქების მაღაზიებში იგი ბლომად აწყვია. მესტიაში საშველი არ დაადგა საბაგირო გზებისა და ტრამპლინის აგებას. სასურველია ამ რაიონში თუნდაც რესპუბლიკური მასშტაბის ღონისძიებების გამართვა.

პლენუმზე ქებით მოიხსენიეს „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭო, რომელმაც ბაკურიანში სპეციალიზებული სპორტული სკოლა გახსნა, სკოლას ჯგუფები ციხისჯვარშიც აქვს. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ საქართველოს გუნდების დაოსტატებისთვის აუცილებელია სამატჩო შეხვედრები მოძმე რესპუბლიკების, სპორტსაზოგადოებების, სხვა ქვეყნების სამთომოთხილამურეებთან. აუცილებელია ბაკურიანში გამოიძებნოს დარბაზი, რომელშიც სპორტსმენებს საერთო ფიზმომზადებაში წვრთნის საშუალება ექნებათ.

პლენუმის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მცდარი იყო „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ნაბიჯი, რომელმაც ბაკურიანში ბავშვთა სპეციალიზებული სპორტული სკოლა გააუქმა და სკოლის აღდგენა მოითხოვეს.

პლენუმმა დასახა ღონისძიება.

## კომანეჩი: ჩემი მიზანია ოლიმპიური ჩემპიონობა

რუმინეთის ეროვნულ და სხვა ქვეყნების საერთაშორისო ტურნირებში წარმატებით გამოსვლის შემდეგ მწვრთნელმა ბელა კაროლიმ თავისი მოწაფე, ევროპის ჩემპიონი, ნორჩი ტანმოვარჯიშე ნადია კომანეჩი რამდენიმე კვირით დაასვენა. ნადია ისვენებდა თავისი მშობლიური ქალაქიდან — გეორგ გეორგიუ დეჟიდან რამდენიმე ათეული კილომეტრით დაშორებულ სანატორიუმ „ოკნაში". ამ დღეებში იგი კვლავ წარსდგა მაყურებელთა წინაშე — მონაწილეობა მიიღო რუმინეთის ჩემპიონატში. ნადიამ ჩინებულად იასპარეზა: მრავალჭიდში 79,75 ქულა დაიმსახურა, ექვსჯერ კი 10,0 ქულა მიიღო (ერთხელ სავალდებულო, ორჯერ ნებისმიერ და სამჯერ კი დასკვნით ვარჯიშებში). ქვემოთ გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ნორჩ რუმინელ ვუნდერკინდს ჩამოართვა ბუქარესტელმა ჟურნალისტმა კ. მაკოვეიმ.

● **ოლიმპიადის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. როგორ აფასებთ თქვენს შესაძლებლობებს, ხართ თუ არა ჩვეულ სპორტულ ფორმაში?**



— ვფიქრობ, კარგ სპორტულ ფორმაში ვარ. დიდ დროს ვუთმობდი ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებას. ვარჯიშების პროგრამა მტკიცეა. მე და ჩემი მწვრთნელი აღარაფერს შევცვლით.

● **სპორტის სასახლეში შეკრებილი 6000 მაყურებლის ხმაურმა და მღელვარებამ თქვენზეც ხომ არ იმოქმედა? როგორ აღიქვამთ მაყურებელთა ემოციებს?**

— მიხარია, რომ ყველაფერი წინასწარ დასახული გეგმით წარიმართა. რუმინეთის ჩემპიონატში გამოსვლა ჩემთვის გენერალური რეპეტიცია იყო მონრეალის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პროცესში. იმედი მაქვს, რომ არც იქ გავაწბილებ ჩემს გულშემატკივრებს. ყოველთვის დიდ სიხარულს მანიჭებს მაყურებლებით სავსე დარბაზში გამოსვლა. ოვაცია და ხმაური ოდნავაც არ მიშლის ხელს.

● **რას იტყვით თქვენი გუნდის ტანმოვარჯიშე ქალების შესახებ?**

— განსაკუთრებით მახარებს თეოდორა უნგურეანუს მიღწევები. იგი ჩემი საუკეთესო მეგობარია, ამას წინათ თეოდორამ თავისი ახალი ილეთი მაჩვენა, რამაც აღტაცება მომგვარა.

● **რა მიზანს ისახავთ მონრეალის თამაშებში?**

— ჩემი მიზანია რამდენიმე მედლის მოპოვება. ვფიქრობ, შევძლია გავიმარჯვოთ გუნდურ და პირად შეჯიბრებებში. იმედი მაქვს, ვაჟებიც ამოგვიდგებიან მხარში.

● **ვინ მიგაჩნიათ თქვენს მთავარ მეტოქედ?**

— ვიცი, რომ ძალიან ძლიერია ნელი კიმი. დიდი ძალაა გიტა ეშერი (გდრ). ცდას არ დავაკლებ, რომ უშეცდომოდ ვიასპარეზო, რადგან ჩემი უდიდესი სურვილია მოვიპოვო უძლიერესი ტანმოვარჯიშე ქალის საპატიო ტიტული.

გაზეთ „დოიჩეს შპორტეჰოდან"
თარგმნა ლაშა დადიანმა.

## ორი პრიზიორი

ერევანში გაიმართა ავტომოდელისტთა საკავშირო პირველობა ჭაბუკთა შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის, უკრაინის, რსფსრ-ს, ლატვიის, ლიტვის, ბელორუსიის, ყირგიზეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ესტონეთის, საქართველოსა და სომხეთის გუნდები.

საქართველოს მოდელისტებმა ორი საპრიზო ადგილი დაიკავეს — რადიოსამართავი მანქანებით ასპარეზობაში დ. ასათიანმა, ხოლო ელექტროძრავიანი მოდელებით ასლების შეჯიბრებაში გ. ანიაშვილმა მეორე ადგილები მოიპოვეს. ამ კლასებში ჩემპიონობა წილად ხვდათ ა. ცილაძს (ლატვია) და გ. შევჩუკს (უკრაინა).

2,5 კბ სანტიმეტრის მოცულობისძრავიანი მოდელებით ტურნირში ჩემპიონი გახდა ა. კოპოსოვი (მოსკოვი). პ. შარიფაშვილი V ადგილზეა.

VII ადგილები ხვდათ გ. ბახტაძესა (1,5 კბ სმ მოცულობისძრავიანი სარბოლო მანქანებით ტურნირში) და ი. ბერიციდის ამავე მოცულობის მანქანების ასლებით შეჯიბრებაში. ამ კლასებში პირველი ადგილები შესაბამისად დაიკავეს მასპინძლებმა გ. სააკიანმა და რ. უნანიანმა.

გუნდური პირველობა სომხეთის ნაკრებმა მოიგო. საქართველოს გუნდი V ადგილზეა.

ო. კიკნაველიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

## ინტერვიუ ტელეფონით

# გამარჯვებით დაიწყო

**ჰოლანდიის ჭადრაკის ფედერაციის მიწვევით მსოფლიო ჩემპიონი, დიდოსტატი ნონა გაფრინდაშვილი ამსტერდამში ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს. გუშინ „ლელოს" კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა ამსტერდამს და მსოფლიო ჩემპიონს ესაუბრა.**

— გუშინწინ აქ ერთდროულად დაიწყო ვაჟთა ორი საერთაშორისო ტურნირი, — თქვა ნონამ. — დიდოსტატთა ტურნირის თექვსმეტ მონაწილეს შორის არიან საბჭოთა მოჭადრაკეებიც — ვიქტორ კორჩნოი და ჩემი მწვრთნელი აივარ გიპსლისი. მე ოსტატთა ტურნირში ვთამაშობ. ჩემს 11 მეტოქეს შორის 3 საერთაშორისო ოსტატია. სხვები ეროვნული ოსტატები არიან.

წილისყრამ სატურნირო ცხრილში ასე გაგვანაწილა: 1. ესინგი (გფრ), 2. ფიბლი (ჩეხოსლოვაკია), 3. მაკერი (აშშ), 4. გაფრინდაშვილი, 5. საერთაშორისო ოსტატი ტატაი (იტალია), 6. ვან გერდენი (ჰოლანდია), 7. საერთაშორისო ოსტატი ჰარტოკი (ჰოლანდია), 8. ვესტერველდი (ავსტრია), 9. სუმუნი (ინდონეზია), 10. ვან ბაარგე (ჰოლანდია), 11. საერთაშორისო ოსტატი ჩოკილტია (რუმინეთი), 12. ვუუდჰამსი (ავსტრია).

პირველ ტურში შევხვდი სუმუნს და მოვუგე.

### რას იტყვის ეივე?

მანილაში, ფიდე-ს საზონათაშორისო ტურნირში 6 ივლისს XVI ტური გათამაშდა. დაუმთავრებელი დარჩა ლიდერთა პარტიები: ე. მეკინგისა (ბრაზილია) ი. ბალაშოვთან (სსრ კავშირი), ვ. ჰორტისა (ჩეხოსლოვაკია) ლ. ლიუბოევიჩთან (იუგოსლავია), ლ. პოლუგაევსკისა (სსრ კავშირი) ს. მარიოტისთან (იტალია) და ვ. ცეშკოვსკისა (სსრ კავშირი) ვ. ულმანთან (გდრ).

უსიამოვნო ამბავი მოხდა ზ. რიბლი (უნგრეთი) — მ. კინტეროსის (არგენტინა) პარტიის გამო. არგენტინელმა დიდოსტატმა საათითა და ხუთი წუთით დააგვიანა თამაშზე და არსებული წესის შესაბამისად წაგება ჩაეთვალა. მთავარი მსაჯის, ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტ ფ. კამპომანესის ამ გადაწყვეტილებამ შეჯიბრების მონაწილეთა უკმაყოფილება გამოიწვია. საქმე ისაა, რომ რიბლიმ უბრძოლველად მიიღო ქულა და ლიდერობა განიმტკიცა. კინტეროსმა მსაჯთა კოლეგიაში აპელაცია შეიტანა, რომელშიც აღნიშნავდა, რომ არ იცოდა თამაშის დაწყების დროის გადატანის შესახებ. საჩივარი განიხილა სააპელაციო ჟიურიმ. მძაფრი დისკუსიის შემდეგ ხმები თანაბრად გაიყო. საკითხი საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ფიდე-ს პრეზიდენტს, პროფესორ მ. ეივეს გადაეგზავნა ჰოლანდიაში.

სხვა შეხვედრებში ე. ტორემ (ფილიპინები) დაამარცხა ტან-ლიან-ანი (სინგაპური). ყაიმზე შეთანხმდნენ ო. პანო (არგენტინა) — ლ. კავალეკი (აშშ).

ამრიგად, 16 ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა უცვლელია. ე. მეკინგს 11,5 ქულა აქვს, ჰორტს — 11, ლ. პოლუგაევსკის, ვ. ცეშკოვსკის — 10-10. მათგან ყველას თითო პარტია გადადებული აქვს. ზ. რიბლის აქვს 10 ქულა კინტეროსთან მოგების ჩათვლით.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

## 11 ივლისს, მებადურის დღეს

პარტიზანთა სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (ლისის ტბაზე) ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებებთან ერთად აწყობს კულტმასობრივ ღონისძიებებს პარკის პრიზზე.

პროგრამაშია:

პირად-გუნდური პირველობა თევზაობაში (9-12 საათამდე);
მასობრივი სეირნობა ტბაზე;
ამხანაგური შეხვედრები კალათბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და სპორტის სხვა სახეობებში;
კონცერტი საქართველოს ფილარმონიის მსახიობთა მონაწილეობით.

დღის განმავლობაში იმუშავებს რესტორანი პავილიონებით, საბავშვო მოედნები, ატრაქციონები.

თევზაობაში შეჯიბრების დებულების გაცნობა შეიძლება პარკის დირექციაში.

ორგანიზაციებმა და შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი 9 ივლისამდე უნდა წარუდგინონ მსაჯთა კოლეგიას (პარკის დირექციაში).

თითოეულ ორგანიზაციას შეუძლია გამოიყვანოს 1 გუნდი 6 კაცის შემადგენლობით.

პარკის დირექცია.

### თბილისის სპორტულ ცაზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. 10 ივლისი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ვარძია" (ახსინძა). დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03337